თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ატმის კურკის ამბავი

მთელი ზაფხულის განმავლობაში აგროვებდა ატმის კურკებს ირაკლი. ყოველდღე პატარა გოდორს ერთ მუჭა კურკას ამატებდა. სადილობისას ბიჭი თვალის ერთი გადავლებით დათვლიდა სუფრაზე მოტანილ ახალ-ახალ ატამს და სიხარულით ცას ეწეოდა.

დიდედა დანით ატამს ფცქვნიდა, კურკას კი გოდორში აგდებდა.

- ნეტავ, რას მაწვალებ ამ დროულ დედაკაცს?! აბა, რად გინდა ეს კურკები?! - წუწუნებდა ხოლმე დიდედა.
- თბილისის გარშემო ხილის ბაღები უნდა გააშენონ და სათესლედ ვაგროვებთ. კლასის დამრიგებელმა დაგვავალა. - უხსნიდა ბიჭი და ამაყად გადახედავდა თავის გოდორს. გოდორი კურკით ივსებოდა, ბიჭის გული კი - სიხარულით.

დიდედამ, როგორც იქნა, გაიმეტა და ჭრელი ხურჯინი ათხოვა ირაკლის. თან თავისი სული და გული გამოატანა, აბა, შენ იცი, ხურჯინი არ დამიკარგოო.

ლამაზი ხურჯინით ჩამოიტანა ირაკლიმ კურკები ქალაქში. ხურჯინის დანახვაზე მთელი ეზო ახმაურდა. განსაკუთრებით ლადო დაფაცურდა. ეზოს კარშივე მიეგება, თვითონ შემოიგდო მხარზე და აივანზე აიტანა. რამდენჯერმე ხელის კვრით მოსინჯა მძიმე ტვირთი.

- ბლომად კაკალი ჩამოგიტანია!
- ატმის კურკაა. განა შენ არ შეაგროვე?

ლადოს ელდა ეცა. ახლაღა გაახსენდა მასწავლებლის დავალება. მან კი მთელი ზაფხული ჩიტების დევნასა და თევზაობაში გაატარა.

„მე რატომ არ გამახსენდა? ამან როგორ უნდა მაჯობოს?“ - ფიქრობდა ლადო. როცა ეზოში შუქი ჩააქრეს, ლადო კატასავით აცოცდა ირაკლის აივანზე და ხურჯინი ჩამოხსნა.

LIVEWORKSHEETS

მეორე დილით სკოლისაკენ ერთად გასწიეს. ლადო ყველანაირად ცდილობდა ირაკლის გულის მონადირებას. ხან წინიდან მოურბენდა, ხან ხურჯინის თვალს ააწევინებდა. ხითხითს ვერ იკავებდა და ხურჯინაკიდებულ ამხანაგს მიაკუნტრუშებდა სკოლისაკენ.

სკოლის ეზოში ერთი ალიაქოთი გამოიწვია ჭრელი ხურჯინის გამოჩენამ.

- ყოჩაღ! დავალების შესრულებაც ამას ჰქვია! - აღფრთოვანებას ვერავინ მალავდა.

ამდენი ქებით დარცხვენილ ირაკლის თავი ჩაეღუნა. მასწავლებელმა გახსნა ხურჯინი და... სახტად დარჩა. ხურჯინიდან კენჭები გადმოცვივდა. ირაკლი შემკრთალი და გაკვირვებული დასცქეროდა ხან იატაკს, ხან - ხურჯინს. ყელში ტირილი ებჯინებოდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა.

- აი, ლადომ იცის, რომ... - სიტყვა ვეღარ დაასრულა.

ლადო, გაფითრდა, დაიბნა: - ირაკლი არაა დამნაშავე. ალბათ სოფელში იეშმაკა ვინმემ.

- იქნებ აქ იეშმაკა ვინმემ? - იკითხა მასწავლებელმა.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. ლადო დასვენებაზე მოსწავლეებთან ერთად იდგა და ატმის კურკის სასტვენით უსტვენდა. ყველანი ეხვეწებოდნენ, ჩვენც გაგვიკეთეო. ლადო ყველას ჰპირდებოდა, გაგიკეთებო, მაგრამ არავისთვის შეუწუხებია თავი.

- ირაკლი, როგორ ფიქრობ, ის ოინი ვინ მოგიწყო? - დაეჭვებით ჰკითხა ამ ამბის შემსწრე მასწავლებელმა.

- ეჭვი მეც შემეპარა, მაგრამ უსაბუთოდ ხომ ვერ დავაბრალებ? - უპასუხა ბიჭმა.

საღამოს ირაკლი და ლადო ერთად გამოვიდნენ თეატრიდან. უამრავ ხალხში ერთმანეთი დაკარგეს. ქუჩის გადასასვლელზე ირაკლის ნაცნობი სტვენა, მერე ხალხის ჩოჩქოლი მოესმა. იქით გაემართა. გაძვრა ხალხში და რას ხედავს: პატრულს ხელი ჩაევლო ლადოსთვის და მკაცრად საყვედურობდა:

- ქუჩაში უნებართვოდ სტვენა რომ ატეხე, ტრანსპორტი გაჩერდა და მოძრაობა შეფერხდა!

- გეხვეწებით, მაპატიეთ! - ემუდარებოდა ლადო.

პატრულს პატარა, მაგრამ ამაყი შეხედულების ბიჭი მიუახლოვდა და სთხოვა:

LIVEWORKSHEETS

- გთხოვთ, აპატიოთ, პირველი შემთხვევაა.
- ირაკლი, მიშველე! - გულამოსკვნით წამოიძახა ლადომ ამხანაგის დანახვაზე და იმედმიცემულმა მისკენ გაიწია.

პატრულს მოეწონა გამბედავი ბიჭუნა და დაეთანხმა.

იმ საღამოს ლადოს ძილი გაუტყდა. ლოგინში წრიალებდა, ვერ ისვენებდა. მერე ადგა, ჩუმად აძვრა ირაკლის აივანზე და ხურჯინი ჩამოხსნა...

დილით ირაკლიმ ატმის კურკით სავსე ხურჯინს მოჰკრა თვალი. დარცხვენილი ლადოც დაინახა.

- სულ ჩემი ოინებია და მაპატიე, - შეევედრა ამხანაგს.

ირაკლის ჯერ ბრაზი ყელში მოაწვა. მერე გაულიმა და უთხრა: - აბა, აიკიდე ხურჯინი და წამოიღე სკოლაში!

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რატომ ითვლიდა ირაკლი სუფრაზე მოტანილ ატმებს?

ა) აინტერესებდა, რამდენი კურკა დაემატებოდა გოდორს.
ბ) მოსწონდა ატმების დაფცქვნაში დიდედას დახმარება.
გ) ძალიან უყვარდა ახალ-ახალი ატმების გაფცქვნა და ჭამა.

2. რატომ აგროვებდა ირაკლი კურკებს?

ა) თანაკლასელებზე მეტი კურკა რომ შეეგროვებინა.
ბ) თანაკლასელების წინაშე თავი რომ მოეწონებინა.
გ) მასწავლებლის დავალება კარგად რომ შეესრულებინა.

3. დიდედამ ირაკლის ხურჯინი რომ ათხოვა, „თან თავისი სული და გული გამოატანა“. რაზე მიანიშნებს ხაზგასმული სიტყვები?

ა) ეშინოდა, რომ ბიჭს არ დაეკარგა მისთვის ძვირფასი ხურჯინი.
ბ) ფიქრობდა, რომ ხურჯინი კურკების გამო მალე გაცვდებოდა.
გ) წუხდა, რომ ქალაქიდან ხურჯინს უკან არავინ დაუბრუნებდა.

LIVEWORKSHEETS

4. „ნეტავ, რას მაწვალებ ამ დროულ დედაკაცს?!“ რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა?

ა) ავადმყოფს. ბ) ასაკოვანს. გ) დაღლილს.

5. რატომ ეცა ლადოს ელდა, როდესაც გაიგო რა იყო ხურჯინში?

ა) ეწყინა, ირაკლიმ კურკები რომ ჩამოიტანა და არა კაკალი.
ბ) ინანა, რომ ირაკლის დანახვაზე მთელი ეზო ახმაურდა.
გ) შეწუხდა, ირაკლიმ რომ აჯობა დავალების შესრულებაში.

6. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში: „ლადო კატასავით აცოცდა ირაკლის აივანზე და ხურჯინი ჩამოხსნა“?

ა) გაპიროვნება. ბ) ეპითეტი. გ) შედარება.

7. იმისათვის, რომ შეენიღბა თავისი ბოროტი ოინი, ლადო ცდილობდა:

ა) ირაკლის გულის მონადირეობას.
ბ) როგორმე ხითხითის შეკავებას.
გ) სკოლისკენ კუნტრუშით წასვლას.

8. რა თვისება გამოავლინა ირაკლიმ, როდესაც მას ყველა აქებდა?

ა) ამპარტავნება.
ბ) თავდაჯერებულობა.
გ) თავმდაბლობა.

9. რომელ წინადადებაშია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „ირაკლი არაა დამნაშავე, ალბათ სოფელში იეშმაკა ვინმემ.“
ბ) „მასწავლებელმა გახსნა ხურჯინი და... სახტად დარჩა“.
გ) „რამდენჯერმე ხელის კვრით მოსინჯა მძიმე ტვირთი“.

LIVEWORKSHEETS

10. თავის გამართლების მიზნით, ირაკლიმ ლადოს დამოწმება სცადა, მაგრამ სიტყვა ვეღარ დაასრულა. რა იყო ამის მიზეზი?

ა) იეჭვა, რომ მის შერცხვენაში ლადო იყო გარეული.

ბ) იფიქრა, რომ თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა.

გ) იცოდა, რომ ლადო სიმართლეს არ იტყოდა.

11. მიუხედავად შეპირებისა, რატომ არ გაუკეთა ლადომ კლასელებს სასტვენი?

ა) არ სურდა, რომ კლასელებს სტვენით შეეწუხებინათ ვინმე.

ბ) არ სურდა, რომ სხვებისთვის შეეწუხებინა თავი.

გ) არ სურდა, რომ სხვებსაც მიეღოთ საყვედური სტვენის გამო.

12. რა თვისება გამოავლინა ირაკლიმ, როდესაც ლადოს გამოექომაგა პატრულთან?

ა) გამბედაობა. ბ) გულუბრყვილობა. გ) სამართლიანობა.

13. როდის იგრძნო ლადომ სინდისის ქენჯნა თავისი საქციელის გამო?

ა) როდესაც დაინახა, როგორ აევსო ირაკლის თვალები ცრემლებით.

ბ) როდესაც მას პატრულთან ირაკლი გამოექომაგა.

გ) როდესაც ხურჯინი გახსნეს და იქიდან კენჭები გადმოსცვივდა.

14. როგორ გამოასწორა ლადომ შეცდომა?

ა) ირაკლის პირადად მოუხადა ბოდიში.

ბ) კურკები ხურჯინში ჩუმად ჩაყარა.

გ) მთელი კლასის წინაშე სიმართლე თქვა.

15. რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

ა) ადამიანი ყოველთვის უნდა ასრულებდეს დავალებას.

ბ) ადამიანმა მიცემული პირობა უნდა შეასრულოს.

გ) ადამიანს არ უნდა სწყინდეს სხვისი წარმატება.

LIVEWORKSHEETS